ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 223

"27" ივნისი 2017 წ

ქ. თბილისი

2012 წლის 28 თებერვალს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო საფასურის (ნასყიდობის საფასურის) გადაუხდელობის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ფიზიკური პირის ეთერ კვარაცხელიას (პ/ნ: 01017036030) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" ქვეპუნქტის, და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "2012 წლის 28 თებერვალს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო საფასურის (ნასყიდობის საფასური) გადაუხდელობის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ფიზიკური პირის ეთერ კვარაცხელიას (პ/ნ: 01017036030) გათავისუფლების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 31 მაისის №19.13.386 განკარგულების შესაბამისად, 2012 წლის 28 თებერვალს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო საფასურის (ნასყიდობის საფასურის) გადაუხდელობის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ფიზიკური პირის ეთერ კვარაცხელიას (პ/ნ 01017036030) გათავისუფლებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი